მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58
მექანედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ყურნალ „დრომასა“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. საბჭოთა-10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

დღიური

— ბულგარეთში გადადგა ცანკოვის მთავრობა.
— ბელგიაში დიდი წყალდიდობა.
— ვესტფალიის (გერმანია) სამრეწველო რაიონში უმუშევარი რიცხვი 75-დან 150 ათასამდე ავიდა.
— ვარშავაში გაახსნა პოლონეთის „სოციალისტების“ ყრილობა.
— გერმანია შეუერთდა ვაშინგტონის ხელშეკრულებას ჩინეთის შესახებ.
— ჩინეთში შეხდგა ახალი მთავრობა.
— ხმები, რომ გო-სუნ-ლინი ცოცხალია, არ გამართლდა.

ოთხშაბათი, 5 იანვარი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 3 (1458)

პარტიის მთლიანი ფრონტით

ეხლა დასრულებულმა სრულიად საკავშირო პარტიულმა ყრილობამ მოგვცა გარკვეული დირექტივები ყველა იმ მთავარ საკითხების შესახებ, რომლებიც წამოაყენა მიმდინარე სოციალ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა სინამდვილემ.

საბჭოთა კავშირის ეხლანდელი საშეურნეო აღორძინებისა და ჩვენი ზრდის პროცესში წარმოშობილ სიძნელეებთან დაკავშირებით, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან სუფთა ხუთი წლის გავლის შემდეგ, ყრილობამ მოახდინა საბჭოთა ეკონომიკის გენეროალური შემოწმება იმ მხრივ, თუ საით მივყევართ მა—ტერიალურისაკენ თუ სოციალიზმისაკენ. ეს საჭირო შიჭრა, რამდენადაც ზოგიერთმა ამხანაგებმა, რომელთაც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ირთული პირობებისა და მსოფლიო რევოლიუციის დაგვიანების ზეგავლენით ერთგვარი ეჭვი შეეპარათ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ მშენებლობის წარმატებებში.

ყრილობამ ერთხელ კიდევ გადაჭრით აღიარა, რომ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა ერთ ქვეყანაში, თუნდაც ეკონომიურად და ტეხნიკურად ისეთ ჩამორჩენილ და უმთავრესად გლეხურ ქვეყანაში, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, საკმაოთ შესაძლებელია იმ საერთაშორისო და შინაურ ძალთა განწყობილების დროს, რომელსაც ადგილი აქვს.

მსოფლიო პროლეტარიატის სიმპატიების ზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველებისადმი, გარდაუვალი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი კაპიტალის სამყაროში, დაჩაგვრათის მუშათა კლასის გამემარცხენეთის სწრაფი პროცესი, ფართე ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში — ძირფესვიანად ანყევენ მსოფლიო იმპერიალიზმის სიძლიერეს და მას ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში საშუალებას უსპობენ. ამით შედარებით უზრუნველყოფილია ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობა.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის და მის სოციალიურ აგებულობის ანალიზი ნათლად ვვიჩვენებს, რომ ჩვენ შეუჩერებლად მივდივართ სოციალიზმის გზით. საბჭოსფიფებრივმა და კოოპერატიულმა მრეწველობამ, რომელიც სოციალისტურ მრეწველობას წარმოადგენს, 1923—24 წ. მოგვცა ქვეყნის მთელი სარეთო პროდუქციის 76 პროც., 1924—25 წ.—79 პროც., ხოლო 1925—26 წ. იგი მიაღწევს 80 პროც.-ს. ამგვარად სოციალისტური მრეწველობა სწრაფი ნაბიჯით იზრდება და ასევე მცირდება კაპიტალისტური მრეწველობის ხვედრი წონა.

მატერიალურ სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ეგაჭრობის როლი. იგი შეადგენდა 1924—25 წ. მთელი ბრუნვის 74 პროც.-ს, ხოლო კერძო ვაჭრობის ოდენობა დაეცა 26 პროცენტამდე.

სახელმწიფოში არსებული ყველა საწარმოო საშუალებები შეფასებულია 20 მილიარდ მანეთად, ამათგან 7 ნახ. მილიარდი ეკუთვნის უმთავრესად გლეხურ მეურნეობებს, და ნაოჩენი—სახელმწიფოს და ნაწილი კოოპერაციის ხელ[illegible].

ამავე დროს მუშა[illegible] სახელმწიფოს ხელშია ყველა სხვა მძრავებელი ენერგიები—საგარეო ვაჭრობა, ტრანსპორტი, სანაპიროს სისტემა და სხ. ყველა ესენი ეხსახურებიან სოციალიზმის გამარჯვების საქმეს და გაბატონებული არიან კერძო კაპიტალზე, სოციალისტურ ელემენტებს ეკონომიკაში ეკუთვნის ხელმძღვანელი როლი და ისინი უფრო და უფრო ძლიერდებიან.

რა თქმა უნდა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე, უმთავრესად სოფლად მოღონიერდა ბურჟუაზიაც, კულაკი. ამ საფრთხეზე ჩვენ თვალებს არ ვხუჭავთ და ვებრძვით მათ. მაგრამ ეს ბრძოლა ჩვენ გვესმის არა როგორც ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გაუქმება და უკან დაბრუნება საშხედრო კომუნიზმის რეჟიმისაკენ, არამედ როგორც ეკონომიური ბრძოლა.

აქ მთელი თავისი სიუართით დგ ს ჩვენს წინაშე კოოპერაციის საკითხი. მთავარი ამოცანა მდგომარეობს ს.ა შუალო და ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ დარაზმვაში და მათ დაკავშირებაში სოციალისტურ მრეწველობასთან, მათ მეურნეობათა განვითარების ჩაყენებაში სოციალისტურ კალაპოტში და ამ გზით კულაკობის განაპირებაში, კაპიტალისტურ ელემენტების დაძლევაში. 20-22 მილიონი ცალკე წვრილი გლეხური მეურნეობა უნდა შევაკავშიროთ კოოპერაციაში და სამი საშუალებით თანდათან შეუწყოთ ხელი მათ განსაზოგადოებრივობას.

რომ ეს მიზანი მიღწეულ იქნეს, ამისათვის ერთ მთავარ პირობათა განს შეადგენს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის უფრო გაფართოება და მისი გადაყვანა თანამედროვე ტეხნიკურ ბაზაზე. საჭიროა ჩვენი ქვეყანა წარემართოთ ინდუსტრიალიზაციის გზით და უზრუნველყოთ საბჭოთა ეკონომიკის დამოუკიდებელი განვითარება, რათა ჩვენი სახელმწიფო არ იყოს მსოფლიო კაპიტალიზმის აგრარული დამატები, რომ მას არ შეეძლოს ჩვენზე გავლენის მოხდენა თავის სასარგებლოდ.

პოლიტიკურ სფეროში ჩვენს წინაშე დგას ამოცანა მშრომელთა გაღვიძებულ აქტივობისათვის ფართე გასაქანის მიცემისა — საბჭოების, პროფკავშირების და სხვა ძალიერ ორგანიზაციების გამოცოცხლების გზით.

შაგრამ ამ აქტივობის გაზრდა გულისხმობს ნამდვილი პარტიული სელმძღვანელობის გაძლიერებას, რათა იგი წარმართულ იქნეს საჭირო მიმართულებებით. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს პარტიის წევრთა შეგნების დონის აწევას, შინაპარტიულ დემოკრატიის ბოლომდე გატარებას. ბაგრამ ეს შინაპარტიული დემოკრატიამ, ცხადია, არ შეიძლება მიიღოს ფრაქციულობის და ჯგუფობრიობის სახითი. ყრილობა და მასთან ერთად მთელი პარტია გამოვიდა პარტიული მთლიანობის შედგარი დამცველის როლში. ყრილობაზე ჭქონდა ადგილი ანტიპარტიულ გამოსვლებს, რაც დაუწვებელი „ცუფუნებაა“ იყო და ყრილობამ კატეგორიულად დაგმო ახალ ოპოზიციონერ ოპოზიცია

ყრილობამ გამოიტანა თავისი საბოლოო გადაწყვეტილებანი მიმდინარე პოლიტიკის ყველა საყურადღებო საკითხებზე და ეს გადაწყვეტილებანი უმეოლესი და ურყევი კანონია პარტიის თვითეული წევრისა და ორგანიზაციისათვის.

დირექტივები მიცემულია, მდგომარეობა საუსებით საოელია. ყველა ჩვენთაგანს მოვალეობა პარტიულობის გადაწყვეტილებათა გადაუხრელი გატარება ცხოვრებაში. პარტია კიდევ შეუდგება მთლიანი ფრონტით აღმშენებლობით მუშაობას ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე.

ეკონომიური კრიზისი პოლონეთში

პოლონეთში უმუშევართა რიცხვი უდრის მთელ მუშაგის 40 პროც.

ვარშავაში აღარ იშოვება ასანთი და თამბაქო

ლოძში უმუშევრები თავს დაესხენ ოლქის სამმართველოს

თამბაქოს მონოპოლია ბრაბსკის მთავრობამ ძვეუნისათვის მეტად საზარალო პიროგებში მიუიდა შვეციის ერთ ფირმას

ლონდონსა და მოსკოვს შორის

ვარშავა, 3 იან. „ვაზეთი „მომენტი“ იმის გამო, რომ ჩიჩერინი დაბრუნდა არა ვარშავაში, არამედ კოვნოში და რიგაში გავლით, სწერს:

„ამ საზეიმო შეხვედრამ, რომელიც ვიუმართეს ჩიჩერინს ვარშავაში, თავის თავად ცხადია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაზე შემბერეულნის ინტერესი პოლონეთისადმი გაიცვლებით ოფრო გაიზარდა. ჩიჩერინის ვარშავაში ჩასვლის გამო პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

ისის შემდეგ, რაც დამტკიცებულ იქნა ლოკარნოს ხელშეკრულება, პოლო უნდა მოლებოდა პოლონეთის დიპლომატიურ თამაშს ლონდონსა და მოსკოვს შორის. პოლონეთი ლოკარნოში შეურთდა განსაზღვრულ საერთაშორისო ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობს ინგლისი და რომელიც ფაქტიურად მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. პოლონეთი ეხლა აღარ საჩგებლობს ხელმეძღვანის იმ თავისუფლებით რუსეთის მიმართ, რომლითაც ის სარგებლობდა ლოკარნოში“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო უკანასკნელის მუმქიდების თავისუფლება იზღუდება იმით, რომ ის ცდილობს მიიღოს ინგლისისგან სესხი პოლონეთის ბანკისთვის. თუ პოლონეთს ეს სესხი მიეცა ინგლისელებს ფაქტიურად ეძლევათ შესაძლებლობა კონტროლი გაუწიონ პოლონეთის ფინანსებს; ფინანსიური კონტროლი კ გაზეთის აზრით, დაკავშირებულია საგარეო - პოლიტიკურ გავლენის გაძლიერებასთან.

„ამას,—სწერს გაზეთი,—ანგარიშს უწევენ მოსკოვში, და მანამ არ იქნება მოწესრიგებული ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, პოლონეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის რადიკალურ გაუმჯობესებას არ უნდა მოველოდეთ“.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი

ვარშავა, 3 იან. გაიხსნა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეოცე კონგრესი. ყრილობას მეზშევიკების სახელით მიესალმა დანი, ესერების სახელით—ჩერნოვი და ქართველი მენშევიკების სახელით გეგეჭკორი.

პერლმა, მოხსენებაში ცეკას მუშაობის შესახებ განაცხადა, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია მიდის სოციალიზმისაკენ მხოლოდ ევოლიუციის გზით. პირტიას არ შეუძლია თავის ტაქტიკაში კატასტროფებს დაეყრდნოს, ნაგრამ თუ საქმე აქამდის მივიდა, პოლონეთის სოციალისტური პარტია უნდა ეცადოს შეინარჩუნოს თავის ხელში მძლავრობის ხელმძღვანელობა.

პარტიის სეიმის ფრაქციის ანგარიშში ბარლიცკემ აღნიშნა, რომ პოლონეთის სოც. პარტიამ დიდი მსხვერპლი გაიღო, როცა დასთანხმდა კოალიციონურ მთავრობაში შესვლაზე, მაგრამ ეს მსხვერპლი საჭირო იყო მუშათა კლასის ინტერესებს დაცვისათვის.

მოხსენებაში ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ ბარლიცკემ აღნიშნა, რომ პოლონეთში არის 800.000 უმუშევარი, რაც შეადგენს მუშების საერთო რიცხვის 30—40 პროცენტს. ბარლიცკის აზრით, საკითხი უმუშევრობის ლიკვიდაციის შესახებ საკავდრო-სასიცოცხლო საკითხია მუშათა კლასის თვის.

ვარშავა უთამბაქოდ და უასანთოდ

ვარშავა, 3 იან. თამბაქოს ნაწარმოები და ახალი გაკრა ბაზარზე და იყიდება ფარულად ხეკულიანტურ ფასებში.

ბერლინი, 4 იანვარი. სოფიიდან მიღებული ცნობით, ბულგარეთის პრემიერმა ცანკოვმა გადასცა მეფეს განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ. კაბინეტის გადადგომა, რომელსაც ეკუთვნოდა ხანი ბულგარეთ-ბერლინ-ეროვნულ ბანკთა ... ...

მეთოთხმეტე პარტიული ყრილობა

ამხ. ბუხარინის მოხსენება კომკავშირის მუშაობის შესახებ

(30 დეკემბრის დილის სხდომა)

მოსკოვი, 2 იან. „მე პირველ ყოვლისა უნდა გითხრათ, დაიწყო ბუხარინმა, რომ ვეცდები რაც შეიძლება შევამოკლო ჩემი მოხსენებები, რაც თქვენ, უსათუოდ გაგეხარდებით, რადგან მე წილად ხვდა ლაპარაკი ყრილობის დასასრულს. მაგრამ არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ ჩემი კითხვის განზრახვის შესრულებას. ამიტომ მე საჭიროდ ვსთვლი ეხლა გაგაფრთხილოთ ამის შესახებაც. რომ საშუალება მექნეს შევამოკლო ჩემი მოხსენება, მე უნდა განვაცხადო, რომ ჩემი სურვილია შევეხო აქ ჩემის აზრით მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს: ნეპ-ზე გვაქვს თეზისები, თეზისები ყველა თქვენთაგანს წაკითხული აქვს, თეზისებში მოცემულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები კომკავშირის ცხოვრების შესახებ. საერთოდ თუ ვიტყვით, ჩემის აზრით ჩვენი პარტიული ყრილობა უნდა

კომკავშირი ციფრებში

მე მოვიყვან დასაწყისში რამოდენიმე ციფრს. ოქტომბრის ცნობების თანახმად კომკავშირის ორგანიზაციას აუკმაყოფილებ ჰყავს დაახლოებით 1.633.000 წევრი. როგორც ხედავთ ეს ზრდა ძალიან დიდია. წინანდელ ყრილობაზე მე მოხსენება გავაკეთე პიონერთა ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც მაშინ ჰყავდა 200 000 წევრი. ეხლა ამ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში გასცილდა მილიონ ნახევარს. განვითარების ტემპი სულ უფრო და უფრო ჩქარი ნაბიჯებით მიმდინარეობს—მაშასადამე მოძრაობა უალრესად ფართოვდება.

რაც.ლ. კომკავშირის მუშაობა ქალაქში და სოფლად წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი საერთო კომუნისტური მუშაობის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს: აქვე უნდა აღინიშნოთ, რომ სოფლად ჯერ კიდევ უმეტესად კომკავშირის უჯრედი ფაქტიურად თამაშობს პარტიის უჯრედის როლს.

ნება მომეცით მოვიყვანო ასეთი ციფრები. კომკავშირის მთელი შემადგენლობა ოფიციალური ცხრილების თანახმად ნაწილდება შემდეგ ნაირად: 35,8 პროცენტს შეადგენენ ინდუსტრიალური და ტრანსპორტის მუშები; 7,8 პროცენტს—მოჯამაგირეები შეადგენს 43.60 პროცენტს, გლეხები შეადგენენ 45,1 პროცენტს და

თაოგბათა შეცვლის საკითხი

ბოლოს ნება მომეცით გავაკეთო კიდევ ერთი უკანასკნელი შენიშვნა, რათა შეძლების დაგვარად ცხადყო ეაზრი კომკავშირის ორგანიზაციის შესაძლებლობის შესახებ. ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ვსთქვა თაობათა შეცვლის შესახებ. ეხლა ხომ ძალიან ხშირად უკვირთ, რომ ჩვენში დღეს პარტიის მილიონ წევრზე მოდის ყოფილ არალეგალურ მომუშავეთა ძალიან მცირე რაოდენობა, ბგონი, 8.000-დე, მაგრამ ადამიანები სცხოვრობენ, მიდის წლები, ათეული წლები. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოხუცებულთა პროცენტი იგივე იქნება. სასაცილო იქნებოდა ასეთი მოსაზრება. ჩვენ ვიცით თაობათა ზეცვლის ბუნებრივი პროცესი, ძველი გვარდიის ის ფენა, რომელზედაც ლენინი სწერდა ტომსკის მიერ აქ გამოქვეყნებულ წერილში, რომელსაც მან უწოდა „ძალიან მცირერიცხოვანი“, რა თქმა უნდა შეიძლება გადაიქცეს მცირე რიცხოვანად კვადრატში, კუბში, და ბოლოს სრულიად გაჩაქრეს. ეს არის ბუნებრივი პროცესი.

გამოვდივართ რა ამ თვალსაზრისიდან, ჩვენ უნდა ვაღიაროთ,—თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენ

კომკავშირის ამოცანები

მე სრულიად ზედმეტად ვსთვლი ვრცლად შევეხო კომკავშირის საერთო ამოცანებს, შევეხო იმას, თუ რა ორგანიზაციაა იგი; ერთი და იგივეს ღეკვა ჩვენ არ შეგვძლია. ყველაფერი ამის წაკითხვა შეიძლება ათეულ ათას პოპულიარულ ბროშიურებში, წიგნებში და თეზისებში, რომლებსაც ჩვენ ვბეჭდავთ. მე ვფიქრობ, რომ უფრო უკეთესია და გაცილებით საინტერესო იქნება შევჩერდეთ დღევანდელი მდგომარეობის ზოგიერთ სპეციფიურ თავისებურებებზე და ამ თავისებურებათა თვალსაზრისით განვიხილოთ კომკავშირის წინაშე მდგომ პრობლემათა თავისებუ ერ.ბანი. უწინარეს ყოვლისა მე უნდა ვსთქვა, თავის თავად ცხადია, რომ ახალი ამოცანები, ახალი პრობლემები და აგრეთვე ახალი ავადყოფობანი, რომელიც კომკავშირში არსებობს და რომელიც ჩვენ უნდა გადავლახოთ, გამომდინარეობს ახლად შექმნილ პირობებიდან. მაგრამ რაში მდგომარეობს პირობების სიახლე, ეს ნათქვამია თეზისებში, ეს ნათქვამია ცეკას ანგარიშში და ზედმეტია ამაზე ვრცლად შეჩერება.

მინდა მხოლოდ შევეხო შემდეგს: ზოგიერთი ამხანაგები, განსაკუთრებით ოპოზიციაში მდგომი ამხანაგები ლაპარაკობენ დღევანდელი მდგომარეობის საშიშროებაზე. მაგრამ მე

ზრდის კრიზისები

ეხლა ნება მიბოძოთ შევეხო მიმდინარე მოძრაობის ყველაზე არსებითი პრობლემას, რომელსაც მე ვსთვლი ძირითად პრობლემად, რომელიც დღეს სდგას კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე. სხვათა შორის, მე ვფიქრობ, რომ ამ პრობლემას ბევრი რამ საერთო აქვს იმ პრობლემებთან, რომელნიც დგას კავშირების და ჩვენი პარტიის წინაშე.

რომ ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით გარდატეხის პერიოდში, ეს ყველასათვის ცხადია. რომ ამ გარდატეხის მომენტის მთავარ თავვისებურებას წარმოადგენი ყველა კლასიერ ფენების აქტივობის ზრდა, ესეც ყველასათვის აშკარაა. რომ ჩვენ ამის საპასუხოთ უნდა გავანაღოდოთ საბჭოების, პიონერ-კავშირების, შინაპარტიული დემოკრატიის გამოცოცხლების ლოზუნგი—ესეც ყველას კარგად მოეხსენება, იმავე გარდატეხის გაგზეარ.ბ.ლებს ჩვენ ვაძლევთ კომკავშირის ორგანიზაციაში, ამიტომ სწორედ ასევე უნდა წამოვაყენოთ კომკავშირის მიმართ კომკავშირის ორგანიზაციების გამოცოცხლების ლოზუნგი. მაგრამ, ამხანაგებო, რაში გამოიხატება ეს პრობლემა კომკავშირისათვის? როგორ უნდა დავაყენოთ ეს პრობლემა კონკრეტულად. ადრეოდესაც მე ვემზადებოდი მოხსენებისათვის და ვამზადებდი თეზისებს, მე უფდგებოდი ამ საკითხს ასე: ვიღებდი არა ლიტერატურას, არა ახალგაზრდ ორგანიზაციების ანგარიშებს, არამედ ვიწვევდი ქალაქის და სოფ-

ლებსო, იგი ოპორტიუნისტულია, გადაგვარების გზაზეა დამდგარი, რომ საჭიროა კომკავშირის წრიდან ვაწარმოოთ თავდასხმა პარტიაზეო საინტერესოა აგრეთვე კომკავშირიდან გასვლის შესახებ შემოტანილ განცხადებათა ანალიზი. თქვენ რომ ანალიზი გაუკეთოთ განცხადებებს კომკავშირის რიგებიდან გასვლის შესახებ და განცხადებათა დასაბუთებას, ადვილად გამოაშკარავებდით ავადმყოფურ პროცესებს კომკავშირის ორგანიზაციაში. აქაც ჩვენ ეხედავთ ორ მხრივ პროცესს. ერთის მხრივ, ჩვენი მეურნეობის ზრდის საფუძველზე ჩვენ ვხედავთ კომკავშირის ორგანიზაციის უდიდეს ზრდას და წარმატებებს. კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს მუშათა ახალგაზრდობის 50 პროც., ე. ი. მთელი ჩვენი მუშათა ახალგაზრდობის ნახევარს. სწავლა წელს აგრეთვე ძალიან განლიერდა. პარტიული ლოზუნგების განხორციელების, საბჭოების და პროფკავშირების გამოცოცხლების საქმეში კომკავშირელები თამაშობენ აქტიურ როლს. საერთო ბალანსი დადებითია.

ეფიქრობ, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს უმთავრესი ამოცანა. ყველაფერი დანარჩენი ან ნათქვამი ან დაბეჭდილი იყო, ყველაფერი სხვა არ არის ასეთი არსებითი, ცენტრალური, ახალი ყველაზე ჯანსაღი, რაც ჩვენა გვაქვს—ეს არის ჩვენი სამეურნეო ზრდა. ამას შეეფარდება მუშათა ახალგაზრდობის ახალი ფენების მიზიდვა, სოფლად კი სამეურნეო საალმშენებლო მუშაობა, კოოპერატიული გაერთიანება და სხვა.

რა სურს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას

განვიხილოთ ეხლა საკითხი, რა სურს ამჟამად მუშათა ახალგაზრდობას, მის საუკეთესო ნაწილს, რა სურს სოფლის ღარიბ გლეხთა ახალ გაზრდობის საუკეთესო ნაწილს, რომელიც იმყოფება ან კომკავშირის რიგებში, ან მის ახლოს. ამ ყოველ ერ.ვს გარეშეა, რომ მუდველობიდან არ უნდა გაუშვათ ახალი სიტუაცია. სამეურნეო ზრდა სწარმოებს, შოთხოვნილებანი ფართოვდება, პირველ რიგში მატერიალურ დარგში. ახალგაზრდობას, სწორედ ისევე, როგორც მოზდილ მუშებს სურთ უკეთესად იცხოვროს, მეტი ხელფასი აიღოს უკეთესად ჩაიცვას, ჭქონდეს უფრო მტკიცე ადგილი საწარმოო პროცესში, სურს ჩაერიოს საწარმოო პროცესებში და იგრძნოს თავი საწარმოო პროცესების ბატონ პატრონად, სურს გახდეს კარგი მუშაკი, ე. ი. იცოდეს თავისი საქმე, გაიგოს იგი, მიიღოს პროფესიონალური განათლება, გახდეს კარგი მუშა, პროლეტარიატის დიქტატურის დროს გაიფართოოოს თავის მატერიალური მოთხოვნილებანი.

აი ეს არის მუშათა ახალგაზრდობის ყველაზე კარგი და ჯანსაღი ფენის ძირითადი მიდრეკილება. სოფლად კომკავშირელ-გლეხს სურს აგრეთვე შეუდგეს თავის მეურნეობის გაუმჯობესებას და შეისწავლოს ეს საქმე. ჩვენ მათ უჭედავთ ყურებს, რომ მან უნდა იცოდეს აგრონომია, გადავიდეს მრავალ მინდვრიან სისტემაზე, უკეთესად იანგარიშოს და სხვა. და ის ამას ითვისებს ძალიან კარგად, მას სურს უკეთესად დააყენოს თავისი მეურნეობა, გახდეს ამ მრავ უფრო გულმოდგინე და აგრეთვე ასწიოს თაკისი ღარიბი და საშუალო მეურნეობა, ასწიოს თავისი

ჩვენა გვაქვს—ეს არის ჩვენი სამეურნეო ზრდა. ამას შეეფარდება მუშათა ახალგაზრდობის ახალი ფენების მიზიდვა, სოფლად კი სამეურნეო საალმშენებლო მუშაობა, კოოპერატიული გაერთიანება და სხვა.

მატერიალური მდგომარეობა, გახდეს უფრო დარაზმული ეკონომიურად. აი ეს არის მისი მთავარი მიდრეკილება.

ბოლოს მე კიდევ უნდა დაუმატო მთელი რიგი მოთხოვნილებათა. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას ამ მოთხოვნილებათა გაფართოების საფუძველებზე აქვს აგრეთვე, დასვენება, ჯანსაღი გართობის სურვილი; მას სურს არა მარტო მოისმინოს აგიტაცია და ჩაუჯაბოს პარაგრაფები და ქალაქდან „შპარგალკები“, არამედ დიამყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილებანი, ერთი სიტყვით, ჭქონდეს ერთგვარი დასვენება, გონივრული გართობის მინიმუმი.

ამგვარად, მშრომელი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი მუშებსა და გლეხობას შორის სამი მთავარი მიმართულებით გვიყენებს ამჟამად თავის მოთხოვნილებებს: ჯერ-ერთი სამეურნეო მდგომარეობის და საწარმოო პროცესში უფრო მტკიცე პოზიციის დაკერის მხრივ; მეორე—კვალიფიკაციის გაუმჯობესების მხრივ; ე. ი. სურს მიიღოს ერთგვარი პროფესიონალური, პირველ რიგში „ნაგდვილ განათლება“; მესამე—ერთგვარი დასვენების და გართობის მინიმუმის მხრივ. აი სამი მთავარი ღერძი იმ მთავარ „მოთხოვნილებათა“, იმ სურვილების, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის შორის.

აი რანაირი მდგომარეობაა. ჩემის აზრით, ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ საკითხს კომკავშირის მუშაობის შინაარსის და ფორმების შესახებ. თუ კომკავშირის უჯრედები არ უწევენ ანგარიშს ამ ახალს და წარმოდგენილი გაქვთ, რომ ცხოვრობენ რამოდენიმე წლის წინ. ისინი

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას პოლიტბიურო

უსათუოდ იტაცებენ ხელდარ დანახერად—მკვდარ უჯრედებად.

საერთოდ სულ ყველა დაკითხვებიდან შესაძლებელი გაიგო ბიდან შესაძლებელი დასკვნის გამოტანა: როცა უჯრედებში ყოველგან აკეთებენ უმთავრესად ნაკლებად გასაგებ მოხსენებებს საერთაშორისო მდგომარეობაზე, ხალხს სძინავს, ანუ მათი სიტყვით რომ ვსთქვათ, „უმაწვილები ქუდებს ესვრიან ერთმანეთს“. ლაპარაკი მალალ მატერიებზე, რომელთაც კავშირი არ აქვთ ცხოვრებასთან, „გულს არ ხვდება“. მყვირალა ფრაზები, წმინდა აგიტატორული, უკვე „გულს არ ხვდებიან“. ძალიან სახიფათოა ამის ფიქრი, რომ უბრალო ყვირილით შეიძლება ახალგაზრდობის მიზიდვა; ეს უკვე იოტის ოდენა გავლენასაც ვერ ახდენს. რამდენიც გინდათ იყვირეთ, ისინი მაინც თავთავის სახლებში წავლენ.

კომკავშირიდან გასვლის შესახებ შემოსულ განცხადებების ანალიზის დროს ერთ-ერთ მთავარ და ტიპიურ პასუხს შეკითხვაზე გამოსვლის მიზეზების შესახებ წარმოადგენს შემდეგი განცხადება:

„რა უნდა ეკეთო კომკავშირში? ის მე არაფერს არ მაძლევს. უმჯობესია „ნამდვილ“ სწავლას მივჰყო ხელი“.

აი რას ლაპარაკობენ.

„რას მაძლევს ნამდვილად თქვენი კლუბი? ყველაფერი ეს გულს არ ხვდება“. „თქვენ ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნებით, როცა მე მინდა მივიღო ტეხნიკური ცოდნა, რომელიც მე ცხოვრებაში გამომადგება, თქვენ კი ამას არ მაძლევთო“.

მუშაობის შინაარსის საკითხები

აი ასეა დასმული მუშაობის შინაარსის საკითხები. თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ ამ ახალს, რაც შექმნა ჩვენმა სამეურნეო ზრდამ, სახელდობრ, ნივთიერ მოთხოვნილებათა ზრდამ, მისწრაფებამ პროფესიონალური განათლებისაკენ, წარმოებაში ადგილის პოვნის სურვილმა, მისწრაფებამ განსაზღვრული დროით ნამდვილი დასენებისაკენ, რომელიც უნდა აძლევდეს რაღაც ადამიანის გრძნობას, თუ ამას ჩვენ არ გავითვალისწინებთ, ჩვენ დავღუპავთ საქმეს. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს და ან, ვიმეორებ, ის დასკვნა, რომელიც გამოტანილია პირველი საეჭვრის კომკავშირელების დაკითხვიდან და მათთან ლაპარაკიდან და რომელიც სავსებით დაადასტურეს მათმა უმაღლესმა ორგანიზაციებმა.

აქ საჭიროა მოვახდინოთ ერთგვარი გარდატეხა მუშაობის შინაარსში, და მე ამას ჩამოვაყალიბებდი ამნაირად: ჩვენი ამჟამინდელობითი სოციალისტური ანუ კომუნისტური მუშაობა, მუშათა კლასის ახალი ფენებისათვის სოციალიზმის მშენებლობის აუცილებლობის ჩანერგვა. ინტერნაციონალურ-კომუნისტური აღზრდის ამოცანები უნდა დაუკავშიროთ ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის საქმეს, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, უნდა დაუკავშიროთ მშრომელი ახალგაზრდობის მატერიალურ მოთხოვნილებათა ზრდას. ასე უნდა დაეაყენოთ საკითხი. მე ვფიქრობ, სხვათაშორის, რომ ასევე უნდა და ეაყენოთ საკითხი დიდებისათვისაც აქ არის პრინციპიალური განსხვავება.

მაგრამ რადგან ჩვენს ამოცანაში არ შედის ლაპარაკი დიდებზე, მე საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა ეს ახალგაზრდობაზე. განა ჩვენ ეხლა შეგვიძლია აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდობის ახალი ფენები ისე, რომ ვძახთ „საერთაშორისო რევოლიუცია“! კიდევ „საერთაშორისო რევოლიუციაა“! კიდევ „წითელი არმია“!, კიდევ „წითელი რმია“,- და მეტი არაფერი? არ შეგვიძლია, რადგან ჩვენში არ არის იმ უშუალო სამოქალაქო ომის დრო, რომელიც ხდება ძლევამოსილ რევოლიუციის მოხდენისთანავე. ეხლა საჭიროა ინტერნაციონალურ-რევოლიუციონურ კომუნისტურ აღზრდას გამოუნახოთ უფრო ფართო და მეტი-კეი საფუძველი. აქ უნდა ხდებოდეს ერთგვარი შეფარდება, საჭიროა ცოდნა, ეხლა უნდა შევიგნოთ ახალი მოთხოვნილებები. აი ასეთი ძაფი უნდა იქნას გაბმული, ამას გვერდი არ უნდა აუარონ. ეს საკითხი უნდა დაუკავშიროთ მთელი ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის საკითხს, ეს უკანასკნელი კი უნდა დაუკავშიროთ მთელი ჩვენი მეურნეობის, საკითხ, დაუკავშიროთ საერთო საკითხს სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ, ეს კი თავის მხრივ უნდა დაუკავშიროთ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, ჩვენს საერთაშორისო რევოლიუციონურ ამოცანებს და სხვა. მხოლოდ ასეთ საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია აღვზარდოთ მუშათა კლასის ახალი ფენები. ამის გარეშე მკვდარი იქნება ჩვენი მუშაობა, ამის გარეშე ჩვენ ჩამოვრჩებით ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს.

საკითხების მეორე ჯგუფი—ეს არის საკითხები მუშაობის მეთოდების შეცვლის შესახებ. მე ხარკოვიდან ერთ-ერთ უკრაინელ კომკავშირელისაგან მივიღე ვეებერთელა ხელნაწერი, რომელშიაც გარჩეულია ათას ხუთასამდე წერილობითი შეკითხვა, რომლებიც შემოუტანიათ კომკავშირელებს. აქ მოყვანილი შეკითხვები საკმაოდ საინტერესოა, საერთოდ ჩვენ ყოველთვის უნდა „რაში მჭირდება მე ამ ქვენა“ უჯრედის სხდომები და სხვა, როცა მე მაინტერესებს წარმოების მსველი, ამაზე კი თქვენ არაფერს არ მელაპარაკებით“.

რასაკვირველია, ყოველგან ასე კუდი მდგომარეობა არ არის, როგორაც აქ ამბობენ, მაგრამ მე განზრახ უფრო მწვავედ ვსვამ კითხვას. მაგრამ სწორედ ასეთია მთავარი ტენდენცია. მეორეს მხრივ, თუ თქვენ აიღებთ ისეთ კრებებს, სადაც მასა აკეთებს ანგარიშს, ან წარმოების დირექტორი კითხულობს მოხსენებას, ან წამოიჭრება საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ, ან ვინმე კითხულობს ლექციას ტეხნიკურ საკითხებზე, მუშების ტეხნიკურ კვალიფიკაციაზე, ან (სოფლად) როცა ლაპარაკია აგრონომიაზე, ან ყველა სხვადასხვა ასეთ საკითხებზე—თუ ჩვენ ავიღებთ ასეთ უჯრედებს, ისინი ცოცხლობენ ყოველგან. თქვენ შეგიძლიათ დაქაქსოთ მთელი რიგი უჯრედებისა, თქვენ იღებთ ყველაზე უკეთეს და ყველაზე ცოცხალ უჯრედებს, და თქვენ აუცილებლად ხედავთ, რომ ისინი სწორედ ასე აწარმოებენ თავის მუშაობას, რადგან, თუ უჯრედი კარგია, ეს იმა ნიშნავს, რომ ის აკეთებს პროფესიონალური განათლების საკითხებს, ეკონომიურ საკითხებს, წარმოების საკითხებს, ტეხნიკურ საკითხებს, სოფლად—სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, კომკავშირის ყოფა-ცხოვრების საკითხებს და სხ... ასეთი უჯრედები ცოცხლები არიან. თუ ასე არ ხდება, ისინი ხახევრად მკვდარი არიან, იშლებიან, არაფერი კარგი არ გამოდის.

მუშაობის შინაარსის საკითხები

მივმართავდეთ ამ ნამდვილ კონკრეტულ მასალას. მაშასადამე, იყო ასეთი ცდა მოეხდინათ ანალიზი ათას ხუთასამდე შეკითხვის, რომლებიც შემოიტანეს სხვადასხვა დროს ხარკოველმა კომკავშირელებმა. ეს ძალიან საინტერესო რამეა: სხვადასხვა გვარი შეკითხვები იყო მოცემული; ზოგიერთი რამ ჩვენს მთავარ პოლიტიკურ პრობლემებიდან კომკავშირს ძალიან კარგად აქვს შეთვისებული. მაგრამ შეკითხვაზე თუ საიდან ჩნდება ჩვენი საგუბერნიო კომიტეტების შემადგენლობა, საიდან ჩნდება კომკავშირის ცეკა, აი ამ ელემენტარული შეკითხვაზე, ზოგჯერ პირდაპირ გასაოცარ პასუხს შეხვდებით. რას მოწმობს ეს? ეს იმას მოწმობს, რომ ნაკლებად არის განვითარებული დემოკრატია კომკავშირის შიგნით. თავისთავად ცხადია, რომ ეხლანდელ მომენტში აქტივობის გამოცოცხლებისა და ზრდის დროს, რასაც ჩვენ ყოველ გზა-ჯვარედინზე გავიძახით, მეთოდი მუშაობისა კომკავშირში, ისევე როგორც პარტიაში, პროფკავშირებში და სხვ., მიმართული უნდა იქნეს შინაკომკავშირული დემოკრატიის გაძლიერებისაკენ.

დაბოლოს, გვრჩება მესამე ჯგუფი საკითხებისა. ეს არის საკითხები ხელმძღვანელობის შესახებ, საარსებო საკითხები. მე აქ უნდა ვსთქვა და დავსძინო, რომ იგივე საკითხი დასმულია პარტიისათვისაც. იმდენად მნიშვნელოვანი ამოცანები იჩენ ნ აქ თავს, რომ საჭიროა სპეციალური ცოდნა ხელმძღვანელთა აქტივისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა. აქ, რასაკვირველია, არის საფრთხე, ისევე როგორც პარტიისათვისაც. აი, მაგალითად, თუ პარტიაში შეიქმნება ისეთი ახალგაზრდათა სკოლა, რომელთაც თეორეტიულად ესმით უფრო მეტი, ვინემ ზოგიერთი ბელადებს. აქ, რასაკვირველია, არის მოუწესრიგებლობის, შეუფარდებლობის ერთგვარი საფრთხე, საფრთხე იმ ავტორიტეტის დაკარგვის, რომელიც აუცილებელია ხელმძღვანელობისათვის. აქ ბელადებს მართებთ ერთგვარი გარჯა, რომ დაეწიონ მათ. და კი არ უნდა ყვირიდეს ახალ სკოლაზე. რადგან აქ ეხლა საჭიროა არგუმენტები და არა ყვირილი. ხალხი კითხულობს წიგნებს, მათ თეორეტიულად ძალიან ბევრი ესმით, ისინი ერთბაშად არ დაუჯერებენ ავტორიტეტებს. მათ ვერ ჩაჩუქებთ, ისინი თვითონ კითხულობენ. რასაკვირველია, მათ შეუძლიათ შეცდენ, ისინი შეცდებიან, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი თეორეტიული ავტორიტეტები ხელმძღვანელობაში პარტიის მხრივ, რომ გაუმკლავდეთ „ახალგაზრდულ“ გადახრებს საფრთხეს, თუ ისინი წამოიჭრებიან. ასეთი შეუფარდებლობის საგრთხე არის კომკავშირში.

ეხლა ხალხი ასე ვსთქვათ ყნოსვით გრძნობს, ვინ იცის ნამდვილად რამდა ვინ ირწმუნება, რომ იცის. ძალიან ხშირად ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციის ქვედა ფენებს, რომლებიც სწავლობენ, ზოგჯერ თეორეტიულად მეტი ესმით ვინემ ხელმძღვანელებს ხოლო ხელმძღვანელებს ძალიან ხშირად არ შეუძლიათ პასუხი გასცენ სავსებით სპეციალურ კითხვებზე.

აი ავიღოთ მაგალითი: კომკავშირმა უნდა უხელმძღვანელოს პიონერებს, ხოლო ბავშვების ხელმძღვანელობის გაწევისათვის საჭიროა იყო პედაგოგი. აქ მხოლოდ ყვირილით არაფერი გამოვა. გაიკეთა „გალსტუხი“ და გათავდა! ხელმძღვანელობის ასეთი წესები არ კმარა. ნურას უკაცრავად. აქ ურთულეს საკითხებთან და მოთხოვნილებებთან გვაქვს საქმე. საჭიროა ბავშვის სულის და გულის გაგება, მისი ცოდნა. მხოლოდ პედაგოგიურად სწორი მიდგომის დროს ადგილი არ ექნება იმ იდიოტურ უმზაკვლოებას, რომელსაც ზოგჯერ ვაბრალებენ, მაგრამ ამისათვის კი საჭიროა სპეციალური ცოდნა.

ან ჩვენ ყველანი ვეუბნებით კომკავშირელს: გეთაყვა, წადი სოფლად, იმუშავე პრაქტიკულად. აგრონომიის ცოდნა—აი რა არის აქ მნიშვნელოვანი. აი, მაგალითად, ერთ-ერთი კომკავშირელი ამხანაგი მოითხოვდა პარტიული დისციპლინის წესით „თვითეულს ეკითხა აგრონომიული წიგნები“. ეს ნაკლებად ნაყოფიერი მეთოდია. შემდეგ ვიტყვი, თუ როგორ უნდა მოქმედებდენ ჩემის აზრით ყველა ასეთ შემთხვევებში ხოლო ეხლა კი მე უნდა ვსთქვა, თუ რა გვაქვს ჩვენ.

თქვენ მიდიხართ გლეხთან და ელაპარაკებით მას მრავალ მანდვრიანობაზე და სხვებზე. მაგრამ თუ თქვენ ეტყვით მას რაღაც სისულელეს, როგორც ზოგჯერ ამბობენ, მაგალითად, ურჩევთ გლეხს სთესოს ღომი. მაშინ მოგვივა ისეთი საქმე, რომ გლეხი 24 წამში გამოგაგდებს თქვენ, და მართალიც იქნება, თუ თქვენ მას ურჩევთ სთესოს ღომი. აი აქ არის საჭირო უკვე სპეციალური ცოდნა. ჩვენში იმდენად გართულდა ცხოვრება, რომ საჭიროა სპეციალური, ზოგჯერ ტეხნიკური ცოდნა, საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, რომ უხელმძღვანელო მილიონ ნახევრას. ამ თვალსაზრისით აქტივის პრობლემა, მისი კვალიფიკაციის პრობლემა ძალიან მწვავედ სდგას. ამრიგად, ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ავადმყოფობა: შეუფარდებლობა მთელი კომკავშირის მასების მოთხოვნილებებსა და აქტივის კვალიფიკაციას შორის. აქაც საჭიროა საკმაოდ დიდი მუშაობის გაწევა.

